საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

ბრძანება №197

2015 წლის 17 აპრილი

ქ. თბილისი

ხიზილალის მწარმოებელი საწარმოების შიდა რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 6 თებერვლის N18 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 5^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

1. დამტკიცდეს ხიზილალის მწარმოებელი საწარმოების შიდა რეესტრის წარმოების წესი და თანდართული რეესტრის ფორმა.

2. დაევალოს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტს, „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 6 თებერვლის №18 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, ხიზილალის მწარმოებელი საწარმოების შიდა რეესტრის წარმოება.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2016 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №31 - ვებგვერდი, 23.08.2016წ.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის მინისტრი **ელგუჯა ხოკრიშვილი**

ხიზილალის მწარმოებელი საწარმოების შიდა რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

ხიზილალის მწარმოებელი საწარმოების შიდა რეესტრი (შემდგომში – რეესტრი) არის საქართველოში ხიზილალის მწარმოებლი საწარმოების შესახებ მონაცემების სისტემური ერთობლიობა, რომლის მიზანია ხიზილალის მწარმოებელი საწარმოების შესახებ მონაცემთა სრული და ერთიანი ბაზის შექმნა.

მუხლი 2. რეესტრის წარმოების წესი

1. რეესტრს აწარმოებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესუსების დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტი.

2. რეესტრი იწარმოება ელექტრონული ფორმით.

3. ხიზილალის მწარმოებელი საწარმოების შესახებ მონაცემები რეესტრში შეიტანება „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 6 თებერვლის N18 დადგენილებით დამტკიცებული დებულების (შემდგომში - დებულება) მე-5^1 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის სამინისტროში სრულყოფილად წარდგენიდან 15 სამუშაო დღის ვადაში.

4. რეესტრში რეგისტრაციისას ხიზილალის მწარმოებელ საწარმოს ენიჭება ინდივიდუალური კოდი.

მუხლი 3. რეესტრში შესატანი ინფორმაცია
რეესტრში ხიზილალის მწარმოებელი საწარმოს შესახებ ინფორმაცია შეიტანება ხიზილალის მწარმოებელი საწარმოების შიდა რეესტრის თანდართული ფორმის მიხედვით.

მუხლი 4. რეესტრში დარეგისტრირებლი ხიზილალის მწარმოებელი საწარმოს ვალდებულება
რეესტრში დარეგისტრირებული ხიზილალის მწარმოებელი საწარმო ვალდებულია, საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სამინისტროს განხორციელებული ცვლილების შესახებ.

მუხლი 5. რეესტრის მონაცემების დაცვა და შენახვა
რეესტრის მონაცემების განახლებას, შენახვას, დაცვას და გამოყენებას უზრუნველყოფს სამინისტრო, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი

ხიზილალის მწარმოებელი საწარმოების შიდა რეესტრის ფორმა

რიგითი ნომერი:	ხიზილალის მწარმოებელი საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემები (საწარმოს საფირმო სახელწოდება და სამართლებრივი ფორმა (ი/მ-ის შემთხვევაში-საკუთარი სახელი); საწარმოს იურიდიული/ფაქტობრივი მისამართი, საფოსტო ინდექსი და ელფოსტა	რეესტრში რეგისტრაციის თარიღი:	მონაცემები ხიზილალის მწარმოებელი საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების შესახებ	ინდივიდუალური კოდი:	რეგისტრაციის გაუქმება	სხვა მონაცემები
1						
2						
3						